

**შპს „მალხაზ კაციაშვილის მრავალპროფილური
გადაუდებელი დახმარების ცენტრი“**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

შპს მაღბაზ კაციაშვილის მრავალპროფილური გადაუდებელი დახმარების ცენტრი"
ინდივიდუალური მოგება-ზარალი ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2020
შემოსავალი	4	1,716,893
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(132,131)
საერთო მოგება		1,584,762
გყიდვის ხარჯი	5	
საერთო და ადინისტრაციული ხარჯები	6	(1,424,655)
სხვა შემოსავალი	7	82,792
საოპერაციო მოგება		242,899
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან და საპროცენტო ხარჯი		(8,547)
პერიოდის მოგება		234,352
სხვა სრული შემოსავალი		
სრული შემოსავალი		

შპს მაღბაზ კაციაშვილის მრავალპროფილური გადაუდებელი დახმარების ცენტრი"
ინდივიდუალური მოგება-ზარალი ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019
შემოსავალი	4	1,478,171
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(129,218)
საერთო მოგება		1,348,953
გყიდვის ხარჯი	5	
საერთო და ადინისტრაციული ხარჯები	6	(1,408,141)
სხვა შემოსავალი	7	41,196
საოპერაციო მოგება		(17,992)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან და საპროცენტო ხარჯი		(18,122)
პერიოდის მოგება		(36,114)
სხვა სრული შემოსავალი		
სრული შემოსავალი		

დირექტორი -----

შპს ეი თი ელ კონსალტინგი -----

შპს მაღახაზ კაციაშვილის მრავალპროფილური გადაუდებელი დახმარების ცენტრი"

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		588,718	640,835
სულ გრძელვადიანი აქტივები		588,718	640,835
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		37,186	25,855
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		582,651	601,984
ფული და ფულის ექვივალენტები		251,486	74,499
სულ მიმდინარე აქტივები		707,388	702,338
სულ აქტივები		1,460,041	1,343,173
საკუთარი აქტივი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		-	141,469
რეზერვი			
ძირითადი საშუალებების კორექტირება			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		253,151	18,799
სულ საკუთარი კაპიტალი		253,151	160,268
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და ფინანსური იჯარა			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,206,890	1,095,229
სესხები და ფინანსური იჯარა მოკლევადიანი		-	87,676
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,206,890	1,182,905
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,460,041	1,343,173

დირექტორი -----

შპს ეი თი ელ კონსალტინგი -----

სააღრიცხვო პოლიტიკა ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს „მალხაზ კაციაშვილის მრავალპროფილური გადაუდებელი დახმარების ცენტრი „

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მალხაზ კაციაშვილის მრავალპროფილური გადაუდებელი დახმარების ცენტრი “ რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ქვიშხეთის ქ., N 2 ბ. 51 . საიდენტიფიკაციო კოდი 400123647. კომპანია რეგისტრირებულია 31/07/2014 , რეგისტრაციის NB14077314.

მისი ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

სამედიცინო შემოსავლები

სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

სამედიცინო შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.

კომპანიას სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სახელმწიფოდან და ფიზიკური პირებიდან მიღებულ შემოსავლებს.

სახელმწიფო - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სახელმწიფო პროგრამით. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სახელმწიფოსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს დაზღვეველი ფიზიკური პირებიდან, სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე. შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება ნაღდი ფულით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. შესაბამისად არ გააჩნია ბალანსზე გადავადებული გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ხარჯს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის, ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის.

ძირინაირად:

სასარგებლო მომსახურების

ვადა

შენობა-ნაგებობა	20
დანადგარები	5-10
ავტოტრანსპორტი	7-10
ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი	5-10
სხვა	5-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური აქტივის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქტის რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

კომპანიაში არის იჯარის ოპერაციები. იჯარის ფარგლებში გადასახდელი და მისაღები საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

კომპანიის მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან

დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამედიცინო მედიკამენტებს და სახარჯ მასალებს. კომპანიის ბალანსზე არსებული ყველა სახის მარაგის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ჩამოწერის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ უსარგებლია საბანკო სესხით და ოვერდრაფტით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი გასამრჯელო) ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, რადგან ისინი აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება განხორციელოს საპენსიო ან მსგავსი გასამრჯელოს გადახდები.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით (ქართული ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით). უცხოური ვალუტის გადაყვანით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

3.3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან

4. შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის შემოსავალი სამედიცინო საქმიანობიდან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
შემოსავალი პაციენტებისაგან	1,716,893	1,478,171
სულ	1,716,893	1,478,171

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
სხვა შემოსავალი	82,792	41,196
სულ	82,792	41,196

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 წლის 31 დეკემბრით და 1 იანვრის დასრულებული წლისათვის წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ხელფასის ხარჯი	773,439	764,902
ცვეთა და ამორტიზაცია	92,760	88,829
საიჯარო ხარჯი	316,996	351,525
კომუნიკაციის ხარჯები	2,800	2,887
საბანკო ხარჯი	1,021	801
სხვა	237,639	199,197
სულ:	1,424,655	1,408,141

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	სამედიცინო ინვენტარი	დამხმარე ინვენტარი	საოფისე ინვენტარი	სხვა	სულ:
1/1/2020	560,325	157,180	142,654	37,752	897,911
შემოსვლა	37,304		3,338		40,642
გასვლა					
12/31/2020	597,629	157,180	145,992	37,752	938,553
დაგროვილი ცვეთა					
1/1/2020	141,139	58,874	45,749	11,315	257,077
ცვეთა	57,695	16,418	14,700	3,947	92,760
გასვლა					
12/31/2020	198,834	75,292	60,449	15,262	349,837
ნარჩენი საბალანსო ღირებულება					
1/1/2020	419,186	98,306	96,905	26,437	640,834
12/31/2020	398,795	81,888	85,543	22,490	588,716

8. მარაგები

მარაგები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სხვა სასაქონლო - მატერიალური მარაგები	37,186	25,855
სულ:	37,186	25,855

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები	582,651	601,984
სულ ფინანსური მოთხოვნები	582,651	601,984

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფული ბანკში	243,339	70,202
ფული სალაროში	8,147	4,297
სულ	251,486	74,499

11. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სესხები ფინანსური ინსტიტუტისგან (ლიზინგი)	-	87,676
სესხი დაკავშირებული მხარისაგან	-	-
სულ გძელვადიანი სესხები	-	87,676

12 . სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები	163,910	187,187
გადასახდელი ხელფასები	835,445	726,203
საგადასახადო ვალდებულებები	207,535	181,839
სხვა ვალდებულებები	1,355	1,475
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,208,245	1,095,229

შპს მალხაზ კაციაშვილის მრავალპროფილური გადაუდებელი დახმარების ცენტრი*
ინდივიდუალური მოგება-ზარალი ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2020
შემოსავალი	4	1,716,893
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(132,131)
საერთო მოგება		1,584,762
გყიდვის ხარჯი	5	
საერთო და ადინისტრაციული ხარჯები	6	(1,424,655)
სხვა შემოსავალი	7	82,792
საოპერაციო მოგება		242,899
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან და საპროცენტო ხარჯი		(8,547)
პერიოდის მოგება		234,352
სხვა სრული შემოსავალი		
სრული შემოსავალი		

შპს მალხაზ კაციაშვილის მრავალპროფილური გადაუდებელი დახმარების ცენტრი*
ინდივიდუალური მოგება-ზარალი ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019
შემოსავალი	4	1,478,171
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(129,218)
საერთო მოგება		1,348,953
გყიდვის ხარჯი	5	
საერთო და ადინისტრაციული ხარჯები	6	(1,408,141)
სხვა შემოსავალი	7	41,196
საოპერაციო მოგება		(17,992)

ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან და საპროცენტო ხარჯი	(18,122)
პერიოდის მოგება	(36,114)
სხვა სრული შემოსავალი	
სრული შემოსავალი	



შპს ეი თი ელ კონსალტინგი



შპს მალხაზ კაციაშვილის მრავალპროფილური გადაუდებელი დახმარების ცენტრი"

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	588,718	640,835
სულ გრძელვადიანი აქტივები	588,718	640,835
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	37,186	25,855
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	582,651	601,984
ფული და ფულის ექვივალენტები	251,486	74,499
სულ მიმდინარე აქტივები	707,388	702,338
სულ აქტივები	1,460,041	1,343,173
საკუთარი აქტივი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი		141,469
რეზერვი		
ძირითადი საშუალებების კორექტირება		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	253,151	18,799
სულ საკუთარი კაპიტალი	253,151	160,268
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები და ფინანსური იჯარა		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,206,890	1,095,229
სესხები და ფინანსური იჯარა მოკლევადიანი	-	87,676
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,206,890	1,182,905
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,460,041	1,343,173



დირექტორი

[Handwritten signature]

შპს ეი თი ელ კონსალტინგი

